ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:**№44. 442615211**
თარიღი:**01/06/2026**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და მის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშების საბანკო მომსახურების მიღების მიზნით კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო კომისიის შექმნის, კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე.“ და ე.ვ“ ქვეპუნქტების საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და მის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშების საბანკო მომსახურების მიღების მიზნით გამოცხადდეს კონკურსი.

2. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და მის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშების საბანკო მომსახურების მიღების მიზნით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების წესი და პირობები N1 დანართის შესაბამისად.

/N1 დანართი ბრძანებას თან ერთვის/

3. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და მის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშების საბანკო მომსახურების მიღების მიზნით გამოცხადებული კონკურსის ტექნიკური დავალება - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალური ტრანსპორტის ერთიანი სისტემებისა და საინფორმაციო პლატფორმების ფუნქციონალური აღწერა N2 დანართის შესაბამისად.

/N2 დანართი ბრძანებას თან ერთვის/

4. კონკურსის ჩატარება უზრუნველყოს კომისიამ შემდეგი შემადგენლობით:

ა/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი - დავით ერემეიშვილი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - დავით

ნიშნიანიზე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

გ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - გიორგი ცხაკაია;

დ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - შალვა მშვილდაძე;

ე/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - გიორგი ჭიღვარია;

ვ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ბესიკ ჩეჩელაშვილი;

ზ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი - ოთარ ფანცხავა.

თ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე - გივი დოლბაია;

ი/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი - პეტრე ადამაძე;

კ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი - ირაკლი გიორგაძე;

ლ/. შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანია“-ს (ს/კ:412750713) დირექტორი - ირაკლი ცხვედიანი.

5. წინამდებარე ბრძანების მე-4 პუნქტით შექმნილი კომისიის მდივნად (ხმის უფლების გარეშე) განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის, ეკონომიკური განვითარების და ტრანსპორტის მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ნათია რაზმაძე.

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და მის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშების საბანკო მომსახურების მიღების მიზნით, გამოცხადებული კონკურსის ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 16 ივნისი.

7. ცნობად იქნეს მიღებული, რომ კონკურსი ჩატარდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №3) და კონკურსში მონაწილეობის მსურველთა წინადადებების მიღება განხორციელდება 2026 წლის 16 ივნისს 12 : 00 საათიდან (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №3).

8. დაევალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელს - ვ. სილაგაძეს, უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების /დანართებითურთ/ გადაგზავნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქმედი ყველა საბანკო დაწესებულებისადმი.

9. დაევალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელს პეტრე ადამაძეს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ. გვერდზე http://kutaisi.gov.ge/ გამოქვეყნება.

10. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, დავით ნიშნიანიძემ.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვიქტორ კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

12. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

დავითი ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი